არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

N049/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ვ“ პუნქტების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დანართის №1 შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ეს წესი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (შემდეგში უნივერსიტეტი) განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესსა და მეთოდოლოგიას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
2. ასოცირებული პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
3. ასისტენტ-პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში;
4. ასისტენტი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
5. მოწვეული სპეციალისტი – აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი;
6. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანამდებობის დაკავების წესი

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებისა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 4. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის და პროგრამ(ებ)ის საჭიროებების გათვალისწინებით.
2. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ამომავალ საკითხს წარმოადგენს სტუდენტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელების საჭიროება და მისი განვითარების შესაძლებლობები.
3. უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით ყველა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებულია აკადემიური თანამდებობები: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი.
4. პირი, რომელიც არჩეულია უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე, უნდა ასწავლიდეს მინიმუმ ორ სასწავლო კურსს და ხელმძღვანელობდეს საბაკალავრო და სამაგისტრო და/ან სადისერტაციო ნაშრომებს.
5. აკადემიური პერსონალის დატვირთვა გაწერილია აკადემიური პერსონალს დატვირთვის წესში.
6. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისას უნივერსიტეტი მოქმედებს ღიაობის, გამჭვირვალობის, არჩევანის თავისუფლებისა და უნივერსიტეტის ფინანსების ეფექტურად ხარჯვის პრინციპებით.

7. თუ უნივერსიტეტის საშტატო განრიგში არ არსებობს სათანადო ვაკანტური თანამდებობა, დადგენილი წესით ხორციელდება უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

8. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ წინადადების ინიცირება შეუძლია:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელს;

გ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის დეკანს.

მუხლი 6. სამიზნე ნიშნულები

უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრსას გამოიყენებს შემდეგ ინდიკატორებს:

ა) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;

ბ) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უნივერსიტეტის პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;

გ) აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან;

დ) აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან;

ე) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;

ვ) აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;

ზ) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით;

თ) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით;

ი) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;

კ) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის (კვალიფიკაციის ამაღლებისთვის) გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტთან.

მუხლი 7. წესის მიღების და გაუქმების უფლებამოსილება

წინამდებარე წესს ამტკიცებს, ცვლის და აუქმებს უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის წარდგინებით.